





ତବରିତ୍ତାଳେତୁ

დავით აფშაშენებლისა და თამარ-მეფის მგოსნები

შავთელი და ჩახრუხეაძე

წილასიტყვაობა

43313



იდი ხანია ცნობილია ეს შესხმანი. ხშირადაც
დაბეჭდილა, ახლა პირველად იბეჭდება ახა-
ლის შუქ-მიუქნით. მაგრამ ჯერ კიდევ მრა-
ვალი კვლევა და ძიებაა საქირო, რომ ყო-
ველი წვლილი ისევე იყოს გასაგები, როგორც
გასაგები იყო მაშინ, როცა დამწერმა დასწე-
რა. რაც უნდა მნელი იყოს ასეთი ძიება,
ქართულის მკვლევარი მაინც არ უნდა შეუ-
შინდეს ამ სიძნელეს, ოღონდ კი გასაგები
გახდეს თხზულებანი ძველ მეხოტბეთა. მათი
თხზულებანი ყოვლად ნიშნობლივი ნაშ-
თია ძველ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურის ცხოვრებისა, ყოვ-
ლად საჩინო, ყოვლად არსებითი მოვლენაა ქართველთა ძველ საერო
მწერლობისა. ის გარემოება, რომ ეგ თხზულებანი დღეს მივიწყებუ-
ლია და უგულებელ-ყოფილი არა მარტო ქართველთა შორის, არამედ
ქართულის მკვლევართა შორისაც, მხოლოდ იმას ჰმოწმობს, რომ მე-
ტის-მეტად ნაკლებად არის შესწავლილი ესა თუ ის ნაშთი ქართულ
სიტყვა-კაზმულ მწერლობისა. ყოველ შემთხვევაში, ეჭვ გარეშეა დიდი
მნიშვნელობა თვით ამ შესხმათა ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.
რომ ეს ასეა, იძედია, დარწმუნდებით ქვემოთ გამოკვლევით.



უმთავრესი დანიშნულება ამ ნამუშაკევისა ის არის, რომ დასაბუთებით იქმნას გამორკვეული, რა ახალი აზრი დაგვებადა იმ თხზულებათა შესახებ, რომელიც წარმოადგენს დავით აღმაშენებლისა და თამარის ქების. უნდა აღსნილი და განმარტებული იყოს უპირველეს ყოვლისა ის ადგილები, რომლის გაგებაც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რაც ამ ნაწერის საფუძვლად დამისახავს. ეს საფუძველი სამს უმთავრესს აზრს შეიცავს. პირველი აზრი ის არის, რომ შესხმა შავთელისა, თამარის ქებად მიჩნეული, დაწერილია ასის წლის წინად, ვიდრე თამარი გამეფდებოდა და საგნად აქვს შექება დავით აღმაშენებლისა, რომელმაც თავის გამარჯვებით მუსულმანების წინააღმდეგ და მტკიცებოლვაწეობითსაქრისტიანო სამშობლოსათვის დაიმსახურა სახელ-წოდება აბდულ-მესისა, რაიცა პნიშნავს „მონა ქრისტესი“, ანუ მხედარი ქრისტესი. შეორე აზრი ის არის, რომ ქება თამარისა, რომელსაც ჩახრუხადეს აკუთვნებენ, კრებულია ცალკ-ცალკე ხოტბისა, ხოლო ეს ცალკ-ცალკე ხოტბა დაწერილია სხვა და სხვა დროს თამარის საქებრადა და საღილებლად და მესამე აზრი კიდევ ის არის, რომ ამ ცალკ-ცალკე ქება-შესხმის დაწერი, საგულვებელია—შოთა რუსთაველი უნდა იყოს. მეტია კვლავ განმეორება იმისი, რომ ამ უკანასკნელს აზრს ვამტკიცებ არა გადაჭრით, არამედ საეგებიოდ.

გზა და გზა ორკვევა სხვა და სხვა წვრიმალიცა, რაც ასე თუ ის-აცხოველებს ამ სალიტერატურო ნაშთთა კვლევას ახალ შუქ-მიფენით. მიქცეული აქვს ყურადღება იმისთანა რამესაც, რის გარკვევაც საჭიროა ნაწერის გასაგებად, გარეშე იმისა, თუ ვინ როგორ უცქერის შავთელისა და ჩახრუხაძის შესხმასა. ცნობის-მოყვარულს ეს ნაშრომი ხელს აღუპყრობს ამ მხრივ, თუ მეტადრე აქ გაფანტული განმარტებანი სხვა და სხვა ადგილისა, სიტყვისა და ფორმისა გამოიყენა ტექსტის კითხვის დროს. მაგრამ მაინც არ ითქმის, რომ ამ ნაწერით სულ გამოირკვა საგანი შესხმათა კვლევისა და განმარტებისა. ეგ ჯერ კიდევ შორს არის და მაგისათვის ჯერ დრო არ მოსულა. საჭიროა სომხურ-ქართულ ფილოლოგიის სხვა და სხვა სპეციალისტის გულდადებული შრომა, რომ ბევრი რამ წვრილმანი გასაგები შეიქმნას. წმინდა ფილოლოგიური კერძოობა კიდევ არაფერი—დაუქლეველ დაბრკოლებად არ ჩაითვლება; საქმე ტექსტია. იმას უნდა დანამდვილებული გაგება იქ, საცა მაშინდელი რამ საგანი და ამბავია ნაგულისხმევი ნართაულად, იგავით ხელ-წამოკრული და ნანიშნი. ხოლო ამისათვის საჭიროა უფრო ცხადად, უფრო დანამდვილებით და მრავალ მხრივ ვიცოდეთ დრო დავით აღმაშენებლისა და თამარისა, ვიდრე ამ ეამად.



ဒ. ပြည်ပူဂျေလွင်၊ ဒ. အင်ဂျာဝန်၊ အ. မြို့အော်မြို့ခွဲလွင်၊ အ. စားမြို့ခွဲလွင်၊ အ. တွေ့ကြော်လွင်၊ အ. ရွှေဗွော်လွင်၊ အ. ပြည်ပူဂျေလွင်.

შავთელისა და ჩახრუხაძის შესხმანი მასალას გვაძლევს მრავალ-გვარ მოსაზრებისათვის, თვალ წინ გვიყენებს ბევრ-გვარ გასარკვევსა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის დროზედ ყოველივე გამოირკვევა და სრულის ნათელით მოიფინება. მე აქ მხოლოდ სამს ამისთანა გასა-რკვევ საგანს დავასახელებ.

შავთელის ნაწერში მე-XII საუკუნის დამდეგს შეგხვდებათ საკუ-თარი სახელები საღმთო წერილისა, სახელ-წოდებანი სქოლასტიკურ თხზულებათა და სპარსულ პოემებისა. თამარის მეოსანის ნაწერში-კი მე-XII საუკუნის დამლევს ამ სახელწოდებათა რიცხვს ემატება სახე-ლები ილიადას გმირებისა. ხშირად ჰქმარობს ავტორი ამ სახელებს შე-დარების დროს. ასეთი შედარება და დაპირისპირება ცოცხალ აღამი-ანთა და ილიადას გმირთა არა სპეციალურ სქოლასტიკურ თხზულება-ში, არამედ პოეტურს ნაწარმოებში, რომელიც დანიშნული იყო მკი-თხველთა ფართო წრისათვის, რას ამტკიცებს თუ არა იმას, რომ თამა-რის დროს ილიადა კარგად უნდა სცოდნოდათ განათლებულ ქართვე-ლებს ამა თუ იმ თარგმანითა. მაგრამ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ თარგმანის გაჩენა უნდა მივაკუთვნოთ ან დავით აღმაშენებლის მე-ფობის უკანასკნელ დროს ან არა და მის სიკვდილის შემდეგს დროს? თუ არ ასე, სხვაფრივ როგორ აიხსნება ის გარემოება, რომ დავითის მაქე-ბარი შავთელი ასე გულ-გრილად ეკიდება იმ მდიდარ მასალას, რომე-ლსაც მისცემდა ილიადა პოეტურ შედარებათათვის?

ინტერესს აღვიძებს ორისავე შესხმის მთქმელთა მესსიანიზმიცა. მესსიანიზმის ელემენტი უფრო მიტია თამარის მეხოტებს ნაწერში, სა-ცა გმირი დახასიათებულია, არა მარტო ღვთის ცხებულად, არამედ ღვთაების განხორციელებადაც, ხოლო მთლად წინანდელი ისტორია—ამ განხორციელებისათვის —მომზადებად. ჯერჯერობით ძნელია გარდაწ-წყვეტით ითქვას, რამ უფრო იმოქმედა ამ მხრივ მგოსანზედ—განსა-კუთრებით ძველის აღთქმის სამესსიანიზმი გავლენამა, თუ აგრედვე მოსლემინურმაცა, სახელდობრ სპარსულმა ანდერძმა, რომ ღვთაება საყვარელ მეფეთა ხორცს შეისხავს ხოლმეო.

უურადღებას იქცევს ის გარემოებაცა, რომ სულ არავითარი ად-გილი არა აქვთ დათმობილი მგოსანთა ნაწარმოებში ფეოდალებს. შა-ვთელის ხოტბაში კიდევ გვვხდება ორიოდე ნიშანი, რომლითაც ოდნავ არის სიტყვა გადაკრული, რომ არსებობენ ქვეყნად ეს ძლიერნი ამა სოფლისანი, თუმცა უნდა ითქვას ისიცა, რომ დავით აღმაშენებლის შესხმას, ასეა თუ ისე, მაინც ძლიერ უდის სუნი მონასტრისა და სე-

ა კეს განკუნებულ სამწიგნობრო ჰაერისა. თამარის მგოსნის ლექსებში კი, საცა უფრო მეტი მიზიდულობაა ცხოვრებისაკენ და სახოგაღოდ უფრო მეტი ხალვათობაა ნივთიერ სინამდვილის აღმეტდილებისათვის, კრინტი არ არის დაძრული და არც რაიმე ნიშან-წყალი სჩანს საქართველოს ძველ ცხოვრების იმისთანა შესამჩნევ მოვლენისა, როგორიც იყო ფეოდალიზმი. მართალია, მგოსანი სამეფო კარის მწერალია, მაგრამ გვირგვინოსანის მეხოტბესი და მაქებარის მდგომარეობა არ ივალებდა, გინდა თუ არა, უთუოდ ხმა არ ამოიღო, არ გაიხსენო მთავარნი და ცალკე თემთა მფლობელნიო; გახსენებას იმიტომ უფრო უნდა ჰქონოდა ადგილი, რომ ოსტატურად ჩაჰქებოვნდა იმათ ყოფა-ცხოვრების ამბავნი თამარ-მეფის ხოტბაში. მაგრამ ხსენებითაც კი არა არის რა ნახსენები. არცა ვვონებთ, რომ ეს გარემოება შემთხვევითა და უცაბელობით იხსნებოდეს. უფრო საფიქრებელია, რომ ასე დადუმება საქართველოს ცხოვრების ესოდენ შესამჩნევ კერძოობის შესახებ, შედეგი უნდა იყოს იმ იდეათა გავლენისა, იმ ფიქრისა და აზროვნობისა, რომლითაც სცოცხლობრნენ პატრიოტულის გრძნობით აღფრუთვანებულნი მაშინდელნი ქართველნი და მათ შორის თვით მგოსანიც. ყველას თვალწინ იზრდებოდა სახელმწიფო, მტკიცდებოდა უზენაესი ხელმწიფება. ქართველი დიდ-კაცობა, ძირეული დიდ-კაცობა, გაშინ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ იყო ისე წელში გატეხილი, რომ გულ-წრფელად ეფიქრა, პოლიტიკა ჩემის გვაროვნობის ინტერესებისა ერთგულება უნდა იყოს ჩემ საკუთარ შეფეთაო, ანუ რომ საჯაროდ თავი მოეწონებინა, აბა, შემომხედეთ, რა განუკითხავის მორჩილებით ვემორჩილები სამეფო უფლებასაო. ასე თავი მოეწონებინა და არ ეფიქრა, ამით ბევრს ვაკლებ ჩემს წოდებრივ ღირსებასა და ჩემის გეარის ნაანდერძევსაო. დიდ-კაცობა ამას ვერ იკისრებდა. ხოლო ფიქრი, ოცნება წინ მიისწრაფოდა. საქართველოს ხელმწიფებრიობის განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალურ წეს-წყობილების ბორკილები და ამიტომ მოწინავესა და დიდის ჭკუის კაცებს, ცხადია, უზომოდ წარმტაცად ეჩვენებოდათ ეროვნული სამეფო ხელმწიფება, დამოუკიდებელი გარედ, თავისუფალი შინ, ის საკუთარი სამეფო ხელმწიფება, რომლის დასაბამიცა და მიმართულებაც პირდაპირ სათავე და წყაროა ყოველის სიცოცხლისა, მეუფეა მსოფლიოსი. ეს აზრი ქართველთათვის ახალი იყო, სააღმტაცო. პიროვნება და მოქმედულება თამარ-მეფისა კიდევ უფრო მეტის ცხოველებითა და მომხიბვლელობით ჰმოსავდა ესოდენ გასატაცებელ იდეას, რომელიც თითქო ამ საოცარ მეფე-ქალის განხორციე-

ლება იყო. ეს რეალური იდეა თვალ-წინ უხატავდა მაშინდელ მოწინავე ქართველობას ბრწყინვალე მომავალს საეროვნო სახელმწიფო ცხოვრებისას და ამისთანა მომავალს არ უხდებოდა, არ შეესაბამებოდა ჩვეულებრივი, ყველასათვის ცნობილი როლი ყოვლად ძლიერის ფერდალებისა. ამიტომ სიამოვნებით სღუმდნენ გათ შესახებ ისინიც, ვინც, პოეტურის აღმაფრენით გატაცებულნი, ოცნებობდნენ უფრო დიდებულ მომავლისათვის.



მხატვარი რაფაელი.

ორიოდე შენიშვნა კიდევ, წინასწარი ანუ დასამატი ამ წიგნის ზოგიერთ თავისა და ადგილის გასარკვევად.

იქ, საცა შავთელზე ლაპარაკი და საცა ვამტკიცებ, დავით აღმაშენებელს სახელი ჰქონდა გავარდნილი აბდულმესისა, ე. ი. ქრისტეს მონისა გინა მხედრისა მეთქი, ძლევა-მოსილი მებრძოლი იყო ჯვარისათვისა მეთქი, მეტი არ იქნებოდა დასამტკიცებელი ნივთიერი საბუთი მომეულანა, ძეგლი რამ დამესახელებინა, რათა ამით ცხადი გამხდარიყო ის, თუ რამდენად შეესაბამებოდა დავით აღმაშენებელს მე-

ტი სახელწოდება აბდულ მესიისა, „როგორც ჯვარ-შემოსილს გმირს.“ თეიმურაზის მოწმობით (Brosset, Additions 1832, X, გვ. 180), დავით ალ-გაშენებლის ბეჭედს ასეთი წარწერა ჰქონდა:

ჯვარია მტერთა მძლეველი
მე დავით ვარ უძლეველი.

თეიმურაზისავე სიტყვით (იხ. იქვე), დავით ალმაშენებლის ხსენებას საქართველოს ეკლესია დღესასწაულობდა 25 იანვარს.

იქ, საცა ლაპარაკი მაქვს მყოსანთა ქართულის შესახებ, ვერ ამოვწერავდი მთელს მასალას, გრამატიკულსა და ლექსიკურსა, რადგან ტექსტი ორივე ნაწარმოებისა არა გვაქვს ჯერ სავსებით გაგებული ყოველის თვისის წვლითითა. ასეთის გაგებისათვის ჯერ კიდევ ცოტა დაბრკოლება არ არის დასაძლევი. ეგ დაბრკოლებანი ზოგი თვით მწერალთა კილოს განსაკუთრებულ თვისებისაგან წარმოსდგება, მეტადრე თამარიანში, ზოგი კიდევ იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომ სუსტად არის გამოკვლეული არა მარტო ისტორიული მიღამო, საცა მეხოტებენი ასპარეზობდნენ, არამედ ის სალიტერატურო ატმოსფერაც, რომელიც იმათ გარს ერტყა. იმედია რომ ნელ-ნელა გამომზევდება და ამოიკრიფება ხელ-ნაწერებიდან ის სალიტერატურო ნაშთნი, რომელსაც დაწაფებით დაბრივი კითხულობდნენ ჩვენი მგლსნები. ასეთია, მაგალითად, ახლა ხანს ნაპოენი ხელ-ნაწერი, რომელიც, ცხადია, წაკითხული ჰქონია თავის დროს მეხოტე შავთელსა, ესე იგი ეფრემის თარგმანებია შესაქმისა, საიდანაც დავითის მქებარს ამოულია სხვათა შორის სახელი მოგვის „ანდიბანისა“. ხშირად დაბრკოლება ენის მხრივ იქიდანაც წარმოსდლება, რომ ტექსტი შერწყვნილია გადამწერისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში ამ მხრივ იმედი უნდა გვქონდეს იმისი, რომ შესაძლოა უკეთესი ხელთნაწერი აღმოჩნდეს ამ სახოტბო ნაწარმოებთა რაც აქამდე ხელთნაწერებია ნაპოენი, ყველა დაფუძნებულია ერთს ძველს დედანზე, რომლის ტექსტი, როგორც ყველაფრით ეტყობა, ძალიან დამახინჯებული ყოფილა, ხოლო ფურცლები — არეული და დაშლილი.

წიგნის ბოლოში ლექსიკონიცა მაქვს დართული, სამ ნაწილად გაყოფილი. მესამე ნაწილში საკუთარი სახელებია მოქცეული. ამის წინააღმდეგ ვგონებ არა ითქმის-რა. რაიცა შეეხება დანარჩენს ორს ნაწილს, რომელთა შორის ერთში ძირეული ქართული სიტყვებია, ხოლო მეორეში — ნასესხი და უცხოთაგან შეთ-

ვისებული სიტყვები, ასეთი დანაწილება, რასაკვირველია, უხერხულია მკითხველისათვის, რომელსაც უნდა ლექსიკონი გამოიყენოს ტექსტის გასაგებად. ამა თუ იმ სიტყვის გასაგებად ხან ერთს ნაწილში მოუხდება ჩახედვა, ხან მეორეში. მაგრამ, რაკი მე სხვა აზრი მქონდა ამ ჩემის შრომის ღრმასმეტი ლონე, არ იყო, ეს უხერხულობა, მაინცა და მაინც არა ისე დიდი, უნდა მეკისრნა. საქმე ის არის, რომ სასურველი იყო უფრო თვალ საჩინოდ წარმომედგინა რაოდენობა და ხასიათი ნასესხებ სიტყვებისა, რომელიც ხმარებულია ამ ნაწერებში, ნათლად გამოშერკვია ურთიერთობა უცხოთა და ძირეულ სიტყვებისა ქართულ სალიტერატურო ენაში, თუ გინდ მაშინდელ განათლებულ კაცთა ქართულ-ში. ამას გარდა, გულში მქონდა წმინდა ლინგვისტიკური აზრიცა. ჩვენთვის საჭიროა, რამდენადაც კი შეიძლება, გავწმინდოთ ლექსიკური მასალა და მოვაზოროთ, რაც კი რამ უცხო დაჰკვრია ზედა, რათა თვალ და თვალ ვიხილოთ ნამდვილი და უეპველი ძირეული ქართული სიტყვები და აი მარტო ეს სიტყვები უნდა დავუპარისპიროთ სემიტურს სიტყვებს, რაკი თავს ვიდევ და ვამტკიცებ ქართულისა და სემიტურ ჯგუფის ენების ნათესაობას.

ლექსიკონში სიტყვები ძირზეა დაყენებული და ისეა განმარტებული. თუ რამ სხვა ახალი სიტყვები წარმოობს იმ ძირიდან, ისიც იქვეა შემოგროვილი. ხან და ხან განმარტებაში ნაჩვენებია ერთად-ერთი შესაძლებელი მნიშვნელობა სიტყვისა, თუმცა იქვე მოყვანილია ადგილი, საცა ის სიტყვაა ნახმარი და იქ ეგ მნიშვნელობა მისი არ არის შესაბამის სავსებით.

ძირეულს სიტყვებში, რომელსაც ძველის-ძველს და იშვიათს უწოდებთ, ბევრია ისეთი, რომ არც ძველის-ძველია, არც იშვიათი თავისუთავიად, მაგრამ ლექსში განსაკუთრებული, ძველის ან საზოგადოდ იშვიათის სიტყვის მნიშვნელობა აქვს; არის ისეთი სიტყვებიც, რომლის მნიშვნელობაც ეჭვსა ჰბადავს.

როცა ნასესხებ სიტყვისას ვამბობთ, არაბულიაო, ეგ იმას არა ვნიშნავს, რომ ეგ სიტყვა სპარსულშიაც არ იყოს. ეს ადვილად შესაძლებელია. უფრო უმეტესი ნაწილი მაგნაირ სიტყვებისა სპარსულშიც არის და უფრო იქიდან შეუთვისებიათ ქართველებს.

ო. ა.

გრ. ყიფშიძე



(N. Muri, 31/10/1970 1970 6. N.D.)
75